კობა სანდროშვილი - ასოცირებული პროფესორი
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმფიფო უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი
ელ-ფოსტა: sandroshvili.23@gmail.com

სიღარიბე, როგორც გამოწვევა და სოციალური დაზღვევის ეფექტიანობა

აბსტრაქტი

კაცობრიობა დღევანდელი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებშიც კი ისეთი ჯერკიდევ გადაუჭრელი პრობლემის წინაშე დგას როგორიცაა უკიდურესი სიღარიბე და გაჭირვება. სიღარიბე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 2024 წელს 10 გლობალურ გამოწვევათა შორის პირველ ადგილზე დასახელდა. მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 10% ჯერკიდევ უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. 600მლნ-ზე მეტი ადამიანი კი 2$ ნაკლებს მოიხმარს დღეში. მიუხედავად იმისა,რომ ცალკეულმა ქვეყნებმა შთამბეჭდავ ეკონომიკურ ზრდას მიაღწიეს,სიღარიბის სრული დაძლევა მაინც ვერ მოხერხდა.

კვლევა ეხება სიღარიბის გამომწვევ ძირითად მიზეზებს და ამ მიზეზებიდან გამომდინარე იმ ღონისძიებებს რამაც სიღარიბის დაძლევაში გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს.

შეთავაზებულია რეკომენდაციები, რომელთა გატარება მნიშვნელოვნად შეარბილებს სიღარიბის გავლენას კეთილდღეობაზე და შექმნის წინაპირობას მყარი სახელმწიფო ინსტიტუტების პირობებში დაიგეგმოს და გატარდეს ის მიზნობრივი პროგრამები რომლებიც შეამცირებს მოსახლეობის ცალკეულ ფენებს შორის სოციალურ დისბალანს და აღმოფხვრის უკიდურეს სიღარიბეს საზოგადოებაში.

საკვანძო სიტყვები: უკიდურესი სიღარიბე; სოციალური რისკები; დაზღვევა; მდგრადი განვითარება;სოციალური დაცვა და დასაქმების ხელშეწყობა;

Koba Sandroshvili, Associated Professor

The Faculty of Business Administration
e-mail: sandroshvili.23@gmail.com

Poverty as a Challenge and Efficiency of the Social Insurance

Even with today's scientific and technological progress, humanity is faced with such an unsolvable problem as extreme poverty and hardship. Poverty has been named as the first out of the top 10 global challenges by the United Nations in 2024. About 10% of the world population still remains in extreme poverty. More than 600 million people consume less than 2 $ per day. Despite the impressive

economic growth of the individual countries, it has not been possible to overcome poverty completely.

The research discusses the root causes of the poverty and ways of overcoming poverty based on those causes which can play the crucial role. It overviews the social programs aiming elimination of the poverty and the gaps preventing achievement of the relevant results are also identified.

The measures which will mitigate the impact of the poverty on wellbeing significantly are also recommended, which will create pre-condition for plan and implement targeted programs in case of strong state institutions, reduce the social disbalance between the social strata of the population and eliminates extreme poverty in the society.

Key words: The extreme poverty; understanding of the poverty, social risks, insurance, sustainable development, social protection and promoting employment

შესავალი. ოცდამეერთე საუკუნეს კაცობრიობა კვლავ მრავალმხრივი პრობლემითა და გამოწვევებით ხვდება. სამეცნიერი-ტექნიკური პროგრესის პირობებშიც კი ბევრი საკითხი გადაუჭრელ პრობლემად რჩება, როგორც განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, ისე განვითარებულ სახელმწიფოებში. კაცობრიობა კვლავ დიდ ძალისხმევას ახმარს უსაფრთხოებისა და გლობალური მშვიდობის მიღწევის შესაძლებლობას. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ უსაფრთხოების ცნება ერთდაგვარად იცვლება კიდეც თანამედროვე ეპოქაში. თუ ადრე ჩვეულებრივი რიგითი მოქალაქისათვის უსაფრთხოების ცნების ქვეშ პირდაპირი გაგებით სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით მშვიდობა და სტაბიულურობა აღიქმებოდა, დღეს ეს ცნება ბევრ თანამედროვე გამოწვევებსა და რისკებს მოიცავს რომელიც თანაბრად აღელვებს მსოფლიოს ყველა ქვეყანას მისი განვითარების დონის მიუხედავად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 2024 წელს ოცდამეერთე საუკუნის გლობალურ ათ გამოწვევას შორის პირველ ადგილზე სიღარიბე დასახელდა. მას მოსდევს ისეთი პრობლემები როგორიცაა: გადამდები დაავადებები, გარემოს დაბინძურება, ტერიტორიული ომები სახელმწიფოებს შორის, სამოქალაქო არეულობა, გენოციდი და სხვ. (wwwakhalgazrduli.com).

სწორედ ამიტომ ცხადია მთელი მსოფლიოს ძალისხმევა დღეს მიმართულია სიღარიბის როგორც უმძიმესი გლობალური პრობლემის დასაძლევად, რისთვისაც აქვე შევნიშნავთ, რომ ჯერ კიდევ კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკური თეორიიდან

მოყოლებული დღემდე ბევრი თეორია თუ მოსაზრება ჩამოყალიბდა მაგრამ ფაქტია,რომ ის კვლავ კაცობრიობის მნიშვნელოვან თავისტკივილად რჩება. (კვარაცხელია,2018,85).სწორედ ამიტომაც მისი მაშტაბიდან, მნიშვნელობიდან და სოციალური აღქმიდან გამომდინარე- „მდგრადი საზოგადოებრივი განვითარება“- იქცა ცივილური მსოფლიო თანამეგობრობის პრიორიტეტულ მიზნად, რომელიც მოითხოვს მთელი ძალების გაერთიანებას სიღარიბის დასაძლევად და აღმოსაფხვრელად

კვლევის მიზანია სიღარიბის, მისი გამომწვევი მიზეზების გამოვლენა და გაანალიზება და ამ მიზეზების ანალიზიდან გამომდინარე იმ შესაძლებლობებისა და მექანიზმების გამოყენება რომელმაც ამ პრობლემის შემსუბუქების (თუ აღმოფხვრის არა), სოციალური ფონის შერბილების შესაძლებლობა უნდა მოგვცეს.

ძირითადი ნაწილი. თუ დავსვამთ კითხვას, მაინც რა არის სიღარიბე? მასზე პასუხი არც ისე მარტივი იქნება, რადგან მისი განმარტებებიც განსხვავებულია. თუ ოდნავ ზედაპირულად შევხედავთ საკითხს, სიღარიბე შესაძლოა ვუწოდოთ ადამიანთა უუნარობას, მონაწილეობა მიიღონ ნორმალურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ზოგიერთი მას განმარტავს, როგორც კვების პროდუქტებზე, ტანსაცმელზე,საცხოვრისზე ადამიანთა ხელმიუწვდომლობას. საქმე იმაშია, რომ სირარიბის აღქმა და მისი განმარტება (მისი სხვადასხვაგვარი განმარტების არსებობა) ჩვენი აზრით გამოწვეულია ცხოვრების იმ დონის მიხედვით რომელიც სასურველად მიიჩნევა კონკრეტულ საზოგადოებაში. რაც მეტად განვითარებულია საზოგადოება და მის წევრებს მეტი კეთილდღეობის მიღების შესაძლებლობა აქვთ, სიღარიბის აღქმაც სწორედ ამ კეთილდღეობის ხელმიუწვდომლობას გულისხმობს და გარდა საკვების, ტანსაცმლის და საცხოვრისისა, მოიცავს ხელმიუწვდომლობას ისეთ სიკეთეებზე როგორიცაა: ნორმალური და ადექვატური ჯანდაცვა, შესაფერისი ხარისხიანი განათლება (არამარტო სასკოლო განათლება), გართობა, დასვენება, მოგზაურობა და სხვ. ამდენად სიღარიბე მაინც ფარდობითი ცნებაა, რომელსაც ბევრი როგორც გაზომვადი ისე არაგაზომვადი მდგენელი ქვს.

სიღარიბე, როგორც ასეთი მაინც ღრმა შინაარსის მატარებელი ცნებაა, რომელიც კაცობრიობას „თანდაყოლილი“ სენივით დასდევს და მის ზრდასთან ერთად უფრო მრავალგანზომილებიანი ცნება ხდება. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმას, რომ მასთან ბრძოლის მეთოდებიც განსხვავებულია. ალბათ ამის დასტური შეიძლება იყოს ის, რომ დღემდე კაცობრიობა სიღარიბის შესახებ განსხვავებულ მიდგომებსა და თეორიებს იცნობს. ყველაზე გავრცელებული კონსერვატიული და ლიბერალური თეორიებია, რომელთაგან პირველი სიღარიბეზე პასუხისმგებლობას საზოგადოებასა და სახელმწიფოს აკისრებს, ხოლო მეორე პირდაპირ ღარიბებს. (კვარაცხელია, 2018:86)

მაინც რა ძირითადი მიზეზები განაპირობებს სიღარიბეს. ძალიან ბევრი მეცნიერი თუ მკვლევარი თანხმდება იმაზე,რომ სიღარიბის გამომწვევ მიზეზებს შორის მნიშვნელოვანია: შემოსავლების არათანაბარი განაწილება საზოგადოების წევრებს შორის; სხსვადასხვა კონფლიქტები და ძლადობა; შიმშილი(განსაკუთრებით ბავშვებში) და არასრულფასოვანი კვება; არათანაბარი განვითარება და მოუწესრიგებელი ჯანდაცვის სისტემა; შესაბამისი ხარისხიანი განათლების ხელმიუწვდომლობა; უმუშევრობა და სამუშაოს მოძიების სირთულეები: სახელმწიფოს მხრიდან არაჯეროვანი მხარდაჭერა და სხვ.(მიქიაშვილი, 2023:185)

ამ მიზეზებს უფრო გავშლით როცა სოციალური პოლიტიკის იმ საკითხებს განვიხილავთ რომლებმაც ამ პრობლემის დაზღვევის საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ. საკითხისთვის მნიშვნელოვანია ავღნიშნოთ, რომ თანამედროვე თეორიაში სიღარიბეს სამ ძირითად სახედ ყოფენ: აბსოლიტური, ზომიერი და ფარდობითი სიღარიბე. რატომ გვჭირდება ეს. საქმე იმაშია, რომ ფაქტობრივი შესწავლისას ადამიანთა რომელი კატეგორია უნდა მივაკუთვნოთ უკიდურესად ღარიბებს თუ სიღარიბის ზღვარზე მყოფთ, დამოკიდებულია იმაზე თუ ქვეყანა საარსებო მინიმუმის გაანგარიშების როგორ მეთოდოლოგიას იყენებს.(მაგ. საქართველოში ძირითადათ სიღარიბეს ორი მაჩვენებლით ახასიათებენ აბსოლიტური სიღარიბე და ფარდობითი სიღარიბე).ჩვენს ქვეყანაში დანერგილი მეთოდოლოგიის მიხედვით რომელსაც ეკონომიკის სამინისტრო და ჯანდაცვის სამინისტრო იყენებს (პირველი უწყება ეყრდნობა მეორის მიერ დადგენილ კვების ფიზიოლოგიურ

ნორმებს), განისაზღვრება ძირითადად საარსებო მინიმუმი, სადაც ძირითადათ დგინდება სურსათის ხარჯების წილი. მიღებული პრაქტიკით კალათაში სურსათის წილი 70%-მდე აღწევს. აღნიშნული თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ ქვეყნის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შემოსავლების დიდი ნაწილი ელემენტარული სასურსათო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ეხარჯებათ (აქ არც ის დაგვავიწყდეს, რომ სამწუხაროდ მოხმარებული საკვები პროდუქტების სარგებლიანობის კონტროლის საკითხი მოუწესრიგებელია რაც ასევე დიდი პრობლემაა). ეს ყოველივე მძიმე სურათის მანიშნებელია და ფაქტობრივად ნიშნავს იმას, რომ მათ ძალიან ბევრ სიკეთეზე ხელი არ მიუწვდებათ.მას შემდეგ რაც ქვეყანაში სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირება დაიწყო სადაც მოსახლეობის ამათუიმ კატეგორიაზე მიკუთვნება ხდება (მაგ: შესაბამისი სარეიტინგო ქულით ადგენენ რა კატეგორია განეკუთვნება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთ, რომელთაც სოციალური შემწეობა ენიშნებათ ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტთან ერთად და რა კატეგორია განეკუთვნება სიღარიბის ზღვარზე მყოფთ რომელთაც მხოლოდ სადაზღვევო პაკეტს სთავაზობს სახელმწიფო), სიღარიბეში მყოფი მოსახლეობის შეფასებისა და დადგენის მეთოდოლოგიამ გარკვეული ცვლილებები განიცადა. დღეს არსებული შეფასებით საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2023 წლისათვის ქვეყანაში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ხვედრითმა წილმა 11,8% შეადგინა. მართალია ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნადაა შემცირებული 2014 წელთან შედარებით 23,5%, მაგრამ მაინც მაღალია საშუალო ევროპულთან მიმართებით, რომელიც 8-10% ფარგლებში მერყეობს.(თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 2014 წელს განხორციელდა მოსახლეობის აღწერა რამაც გარკვეული მონაცემების დაზუსტება გამოიწვია, ამასთან მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყნიდან გასულთა რიცხვი შესაძლოა ეს შემცირება არც ისე იმედისმომცემად ჩანდეს და სწორედ ამიტომაცაა, რომ საზოგადოებაში სიღარიბის შემცირების(თუ სტატისტიკას ვენდობით) აღმა არარის).ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელმა 2023 წელს 19,8 % შეადგინა 2014 წელს ეს მაჩვენებელი 21,4% იყო (wwwgeostat.ge). მართალია ციფრები კლებას მიუთითებენ, მაგრამ 2024 წელს

დაფიქსირებული მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდის ფონზე (5,8%) ეს მაჩვენებელი ძალიან არასახარბიელოდ გამოიყურება და გარკვეული პოლიტიკის არასრულყოფილებასა და ხარვეზებზე მიანიშნებს. არადა წესით პოსტკრიზისული და პოსტპანდემიური პერიოდის შემდეგ ასეთი ეკონომიკური ზრდის ფონზე მოსახლეობის კეთილდღეობის მნიშვნელოვანი თუ არა საგრძნობი ცვლილება შესამჩნევი უნდა იყოს და უწინარესად ამას საკუთრივ მოსახლეობა უნდა გრძნობდეს. ამდენად როდესაც მოსახლეობის არცთუ უმნიშვნელო ნაწილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, მეტადრე თუ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ სოციოლოგიურ კვლევებსაც გავიზიარებთ, რომლის თანახმადაც ქვეყნის მოსახლეობის 30%-ზე მეტი თავს მიიჩნევს ღარიბად, სიღარიბესთან ბრძოლა კიდევ უფრო მეტ სიმწვავეს იძენს და გარდა ცალკეული სოციალური პროგრამებისა სპეციალური სახელმწიფო პროგრამების ამოქმედებასაც უნდა მოიცავდეს. სამართლიანობისათვის შევნიშნავთ, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტა ჩვენი შესაძლებლობების ქვეყნისათვის ამ ეტაპზე ხმამაღალი ნათქვამი იქნება მაგრამ, როდესაც განხორციელებული სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში შესაბამისი შედეგი ვერ დგება მინიმუმ ხარვეზების ძიებისკენ მაინც უნდა გვიბიძგებდეს (კორუფცია, ნეპოტიზმი, ინსტიტუციური პრობლემები, სამწუხაროდ დიდ პრობლემას ქმნის სხვა სიძნელეებთან ერთად ამ მიმართულებით).

სიღარიბის დაძლევის სხვადასხვა მეთოდებსა და მიზნობრივ პროგრამებზე საუბრისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ ბევრი ფუნდამენტური საკითხია გადასაწყვეტი და უწინარესად სტაბილურობის შეგრძნების არარსებობის შემთხვევაში რაიმე სრულმაშტაბიანი კომპლექსური გეგმის ამოქმედება ვერ მოხდება და ვერც ამისი რესურსი მოიძებნება შიგნით. ამიტომ საერთაშორისო პრაქტიკაში კარგად აპრობირებული ცალკეული მეთოდების გამოყენებისას, პროგრამის განხორციელებაზე სისტემური და ეფექტიანი კონტროლი მნიშვნელოვანია. ასეთივე მნიშვნელოვანია მოსახლეობის სოციალური დაზღვევის პროგრამების ეფექტიანობის კონტროლი რაც სახელმწიფოს, სხვადასხვა კომპანიების და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით უნდა განხორციელდეს. (ძალზედ

მნიშვნელოვანია სახელმწიფოს სოციალური დაცვის და ფინანსური დახმარების პროგრამების ეფექტიანობის კონტროლი).

სიღარიბესთან და გაჭირვებასთან ბრძოლის ავანგარდში აუცილებლად უნდა იდგეს ქვეყნის სადაზღვევო სისტემა. სადაზღვევო ბაზრის გამართული მუშაობა „სოციალური რისკებისაგან“ დაცვის საუკეთესო საშუალებაა. ეს შეიძლება „კეთილდღეობის თეორიის“ იმ კონტექსტშიც განვიხილოთ, რომელიც პირდაპირ ფინანსურ დახმარებასთან ერთად სოციალური ფონდების ფორმირებასაც გულისხმობს. ამასთან სოციალური დაზღვევის პროგრამები ერთ-ერთი პირველი იყო რომელიც ქვეყანაში ამოქმედდა, სიღარიბეში მყოფი მოსახლეობის მდგომარეობის შესამსუბუქებლად. აქ საქმე იმაშია, რომ ერთადერთი ბენეფიტის გამღები სახელმწიფოა და შესაბამისად კეთილდღეობის ცვლილებაც მის რეალურ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ სადაზღვევო ბაზარიც სრულფასოვნად ვერ მუშაობს და სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამებში მონაწილეობის გარდა სხვა მომსახურების შეთავაზებით არაა დაკავებული. სწორედ ასეთ უკონკურენტო გარემოში მიუხედავად ამ მიმართულებით თანხების ეტაპობრივი ზრდისა შედეგი მაინც არაა საგრძნობი. ამან ასეთ უკონკურენტო გარემოში მიიღო ისეთი სახე, რომ ადამიანთა იმ კატეგორიას რომლებიც სახელმწიფოსაგან სოციალურ შემწეობას იღებენ, მისი დაკარგვის შიშით სამუშაოს ძიების სურვილი დაუკარგა.ამის ხელშემწყობი ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ისიცაა რომ იმდენად უმნიშვნელოა განსხვავება მინიმალური ხელფასის ოდენობასა და შემწეობას შორის რომ მუშაობის სურვილი ავტომატურად ქრება. გვგონია, რომ ეს ბერკეტი სახელმწიფოს ხელში უფრო სოციალური დაპირისპირების შერბილების იარაღია ვიდრე სიღარიბის შემცირების. (მოხმარების ასეთი პირდაპირი სუბსიდირება გარდა გამოუვალი მდგომარეობისა ეფექტიანი არ და ვერ იქნება). ალბათ პროპორცია უნდა იყოს ისეთი, რომ შემწეობის მიმღებ სუბიექტებს ქმედებით აიძულებდეს უკეთესი მდგომარეობის შესაქმნელად სამუშაოს მუდმივი ძიებით იყვნენ დაკავებულნი. ჩვენ სოციალური დაცვის ამ ფორმასთან რაიმე კიარგვაქ სადაო უბრალოდ ქვეყნის რეალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე გვინდა, რომ მას ახლდეს ისეთი კომპონენტი როგორიცაა შრომის

შესაძლებლობის მიცემა ბენეფიციარისათვის. შესაბამისად სოციალური დაზღვევის პროგრამები სწორედ ამ მიმართულებით უნდა გააქტიურდეს და ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი სიღარიბის გამომწვევი მიზეზებიდან ერთ-ერთის- „უმუშევრობა და სამუშაოს მოძიების სირთულეები“ თავიდან არიდების შესაძლებლობასაც მოგვცევს. და რაც მთავარია ამ პროცესში აქტიურად უნდა ჩაერთონ სადაზღვევო კომპანიები ინოვაციური პროდუქტებით და გაჩნდეს თანამონაწილების პრაქტიკაც ბენეფიციარების მხრიდან (გრძელვადიან ეფექტზე ფიქრი ეკონომიკაში სხვანაირად ვერ იქნება).

აუცილებლად უნდა შევეხოთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხსაც როგორიცაა საპენსიო რეფორმა და რომლის მიზანიც დანერგვისთანვე ასევე სირარიბის შემცირება და სოციალური ფონის გაუმჯობესება გახდა. სამწუხაროდ ჩვენი სკეპტიციზმი ამ მიმართულებითაც გვინდა გაგიზიაროთ რადგან შემოსავლების არათანაბარი განაწილების პირობებში ღარიბი და დაბალშემოსავლიანი მოქალაქეებისათვის დაგროვილი დანაზოგი ვერ იქნება ღირსეული სიბერის უზრუნველმყოფი. ნუ დაგვავიწყდება, რომ აქაც პრაქტიკულად უკონკურენტო გარემო შექმნა ხელისუფლებამ და სადაზღვევო ბაზარი სრულყოფილად თავის შესაძლებლობებს ვერც აქ ავლენს. ალბათ სხვა მექანიზმია შესამუშავებელი რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას ფონდის სახსრები მეტნაკლები სამართლიანობით გადავანაწილოთ თუმცა როგორ ამეტაპზე ამაზე პასუხისგაცემა გაგვიჭირდება. ვერც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამამ მოგვცა ის ეფექტი რასაც ველოდით. თუმცა ამის ერთ-ერთი მიზეზი საკუთრივ ჯანდაცვის სისტემის გაუმართაობაა. ამასთან ამ პროგრამას აუცილებლად უნდა გამოეთიშონ ის ადამიანები(როგორ მტკივნეულადაც არუნდაჟღერდეს ეს) რომელთაც დამოუკიდებლად შეუძლიათ საკუთარ სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

რა ხარვეზებსაც არ უნდა ვხედავდეთ და როგორი სადაოც არ უნდა იყოს ეს თემები ცხადია დაზღვევა საუკეთესო საშუალებაა მათ შორის სოციალური რისკებისაგან(უმუშევრობა, გაჭირვება) თავის დასაცავად. თუმცა ისიც კარგად გვესმის, რომ პრობლემები საკუთრივ სადაზღვევო ბაზარსაც აქვს. ის ჯერ კიდევ ვერ

თავაზობს მოსახლეობას ისეთ პროდუქტებს როგორიცაა უმუშევრობის დაზღვევა თუნდაც.(არც შესაძლებლობა აქვთ მოქალაქეებს და არც ინტერესი სამწუხაროდ ვერც ამას ვუარყოფთ).საყოველთაო ჯანდაცვის პირობებში ან საერთოდ არ არის ან უმნიშვნელოა კონტრიბუცია პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარების მხრიდან, არადა ის ძალზედ მნიშვნელოვანია სადაზღვევო ბაზრის განვითარებისათვის(ჯანდაცვის სისტემასა და სადაზღვევო კომპანიებს შორის კორუფციული გარიგებების აღმოსაფხვრელად თუნდაც). თუმცა საკუთრივ სადაზღვევო კომპანიებმაც უნდა შეცვალონ თავიანთი სტრატეგია, რაც ინოვაციური პროდუქტების შექმნით, მიწოდების განსხვავებული სერვისებით, ადამიანებს მისცემს შესაძლებლობას ერთმანეთს შეუდაროს პროდუქტის ფასი და სარგებლიანობა. სხვა შემთხვევაში მათი როლი სოციალურ პრობლემებთან ბრძოლაში მოკრძალებული იქნება.

საკითხი იმდენად კომპლექსური და მრავალწახნაგოვანია, რთულია ერთ სტატიაში შეეხო და ჩამოაყალიბო ყველა ის მიზეზი თუ ფაქტორი, რაც სიღარიბეს უკავშირდება და მით უფრო ისაუბრო მისი გადაჭრის გზებზე, მაგრამ აუცილებლად გვინდა შევეხოთ ერთ საკითხსაც. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით 2023 წლისათვის სიღარიბე სოფლად უფრო დიდია (15,6%) ვიდრე ქალაქად (11,8%). არადა ჩვენთან მიღებული მეთოდოლოგიის მიხედვით, როცა სამომხმარებლო კალათაში საკვებზე ხარჯებს 70% უჭირავს, სოფლად ადამიანებს საკვებით უზრუნველყოფაზე ასეთი პრობლემა, როგორც ქალაქად არ უნდა ჰქონდეთ. შესაბამისად ამ დათვლებით მათი სარეიტინგო ქულა უფრო მაღალი უნდა იყოს. მაგრამ ეს მიანიშნებს იმაზე, რომ დიდია მიგრაცია სოფლიდან. სადაც დარჩენილ მოსახლეობაში მოხუცები და ქალები ჭარბობენ, რომელთა შრომისნაყოფიერება დაბალია. ამას ალბათ ისიც განაპირობებს, რომ ბოლო პერიოდში სტაგნაცია სოფლის მეურნეობაში უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე ეკონომიკის სხვა დარგებში. არადა კარგად გვესმის, რომ სირარიბესთან ბრძოლა სოფლის აღორძინებაზე გადის. ამიტომ აგრარულ სექტორში დაზღვევის გააქტიურებას და აგროდაზღვევის პროგრამების სახელმწიფო მხარდაჭერას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.მთლიანად სოფლის მეურნეობა სახელმწიფოს სრული მხარდაჭერის და განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა

გახდეს (სიცხადისათვის შევნიშნავთ, რომ დაახლოებით 300000-მდე ფერმერიდან 16000-მდე სარგებლობს აგროდაზღვევით) (https.//bm.ge).

დასკვნა. სიღარიბესთან ბრძოლის ეფექტიანი გზების დასადგენად, მისი მიზეზების გამოვლენა და შესწავლა როგორც პრობლემასთან განმკლავების საწყისი ეტაპი ალბათ კიდევ გაგრძელდება. რაც არგამორიცხავს ბუნებრივია ცალკეული ღონისძიებების გატარებას რომელმაც საზოგადოებაზე მისი მავნე გავლენის შერბილება უნდა მოახდინოს. რეკომენდაციის სახით პრობლემასთან ეფექტიანი ბრძოლი მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

-მნიშვნელოვანი ხელშეწყობა უნდა მოხდეს საზოგადოებაში საშუალო ფენის ხვედრითი წილის გასაზრდელად, რაც ასევე შემოსავლების ეტაპობრივ ზრდასაც გულისხმობს.

-სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის დასაქმების პროგრამების შემუშავება, მათთვის სამუშაოს მოძიებაში ხელშეწყობა.

-სოციალური დაცვისა და სოციალური დაზღვევის ისეთი პროგრამების შემუშავება, რომელიც უმუშევრად დარჩენის შემთხვევაში ერთის მხრივ გარკვეული პერიოდით მათ ფინანსურ დახმარებას მოიცავს, ასევე მეორეს მხრივ დაეხმარება სამუშაოს მოძიებასა და დასაქმებაში.

-საოჯახო სასტუმროების ხელშეწყობა (ტურიზმი ერთ-ერთი მზარდი ინდუსტრიაა ქვეყანაში) და ზოგადად ისეთი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, სადაც სწორედ სოციალურად დაუცველი ადამიანები დასაქმდებიან, გაჩნდება მათი ეკონომიკური აქტივობის გაზრდის შესაძლებლობა. რაც ძალზედ ადვილად განხორციელებადი იქნება სოფლად.

-აგროდაზღვევის პროგრამის გამრავალფეროვნება და გავრცელება სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე, იაფი აგროკრედიტების ხელმისაწვდომობა, რამაც ეკონომიკური აქტივობის გაზრდას უნდა შეუწყოს ხელი.

-ინფრასტრუქტურული და ცალკეული პროექტების გააქტიურება, რომლებიც სოციალურად დაუცველი მოქალაქეების დასაქმებას ისახავენ მიზნად.

-სოციალური პროგრამების დახვეწა, ამ პროგრამიდან თანდათანობით იმ ადამიანების „გაფილტვრა“ რომლებსაც დამოუკიდებლად შეუძლიათ იზრუნონ საკუთარ სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე.

-სადაზღვევო ბაზრის ხელშეწყობა კონკურენციის განვითარება, რამაც სადაზღვევო კომპანიებს ინოვაციური პროდუქტების შეთავაზებით საკუთარი წვლილის შეტანისკენ უნდა უბიძგოს ამ საქმეში.

და ბოლოს ვიდრე ჩვენ ვრჩებით სიღარიბესთან ბრძოლის მიზნობრივი პროგრამების განმხორციელებელ ქვეყნად ჯერ კიდევ სუსტი სახელმწიფო ინსტიტუტების ხელში, სიღარიბის აღმოფხვრა ურთულეს ამოცანად რჩება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. www.akhalgazrduli.com
2. კვარაცხელია მ, „სიღარიბის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები"ჟ. გლობალიზაცია და ბიზნესი #6 2019,86-89
3. მიქიაშვილი ნ, „სიღარიბის გლობალური მიზეზები და მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნების გამოწვევები“თბ.2023
4. გურული შ, „სიღარიბის დაძლევის მიზნობრივი პროგრამები“ ჟ.ბიზნეს-ინჟინერინგი #1-2 2019,18-22
5. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; აგროდაზღვევის განვითარების სტრატეგია 2021-2024წწ
6. www.geostat.ge
7. http;//www.insurance.org.ge
8. http;//www.insurance.gov.ge
9. www.mbg.gov.ge